# გილოცავთ შობას!!!



7 იანვარს, ღამით, მისმა მაღალყოვლად უსამღვდელოესობამ, შემოქმედელმა მიტროპოლიტმა, მეუფე იოსებმა საშობაო ლიტურღია აღავლინა ოზურგეთის საკათედრო ტაძარში.

საშობაო ლიტურღიის წარმართვაში მონაწილეობდნენ ტაძრის წინამძღვარი მამა ვასილი (კვირჩილაძე) და მამა ერმალაოსი.

საშობაო ქადაგებაში მეუფე იოსებმა მრევლს ურთიერთ მიტევებისკენ, სიკეთისაკენ და ეკლესიურობისკენ მოუწოდა.

# „წუხელის გოგო დაბადებულა“

**ალიონი.** ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკის სამშობიარო განყოფილებაში 2019 წლის 1 იანვარს 2 ახალშობილი გაჩნდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოშვილის მკვიდრს ნინო ჯიჯიეშვილს ქალიშვილი ბარბარე შეეძინა. სამშობიაროს წინ, ეზოში ახალი წელი და შვილის შეძენა ერთად აღნიშნეს ალექსანდრე ჩხარტიშვილმა და მისმა ახლობელ-მეგობრებმა.

1 იანვარს დაიბადა ლილე მელუაც. მამა იოსები ლიხაურელია. ლილეს დედა თამთა ჩხაიძე სტუდენტია — მომავალი არქიტექტორი. უნდა აღინიშნოს, რომ ორთავე დედისთვის ეს მეორე მშობიარობა იყო. ახალი წლის ღამეს სამშობიარო განყოფილებაში მორიგე ექიმი გულნაზი ჩანჩიბაძე იყო.



ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკის დირექტორის დავით მდინარაძის ნებართვით სამშობიარო განყოფილების ბებია-ექთანმა მაყვალა ტულუშმა, რომელიც ნახევარი საუკუნეა აქ მუშაობს გაგვაცნო ბოლო 10 წლის სტატისტიკა: 2009 წელს ოზურგეთის სამშობიარო სახლში 713 ახალშობილი დაიბადა; 2010 წელს –706; 2011 წელს –664; 2012 წელს –693; 2013 წელს –727; 2014 წელს –668; 2015 წელს –572; 2016 წელს –570; 2017 წელს –489; 2018 წელს –442.

ბოლო წლებში შობადობის ასეთ მკვეთრ კლებას, დავით მდინარაძე ახალგაზრდა ოჯახების უცხოეთში მიგრაციით ხსნის და საგანგაშოდ მიიჩნევს:

–ახალგაზრდების უცხოეთში მიგრაციის შეჩერება და მათთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა აუცილებელი, ჩვენ კი მათ კვალიფიციურ მომსახურებას გავუწევთ –გვითხრა დავით მდინარაძემ.


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 1 (10295) 9 იანვარი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.





ახალი სუპერმარკეტის ახალი სუპერპროდუქტები ჩვენს სუპერმომხმარებლებს:

ფასები — ხელსაყრელი
ხარისხი — სუპერი!
მომსახურება — სუპერი!
პარკინგი — სუპერი!
განწყობა — სუპერი!

აქ ყველაფერი სუპერია!!!

მობრძანდით, გელით

«სუპერმარკეტ პლიუსში»

მისამართი: კლდიაშვილის ქუჩა, №13.




ჩვენო გურულებო!

გილოცავთ შობა-ახალწლის მობრძანებას. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ. წარმატებები თქვენს საქმიანობაში.

სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველო მუდამ თქვენს სამსახურშია!

სამმართველოს სახელით
**ნინო შეწირული.**



შობა-ახალწლის მობრძანებას ვულოცავ სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით ჩემს ოზურგეთელებს.

ღმერთმა მოგცეთ საშუალება და სურვილი სიკეთის კეთებისა, რაც ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ნაკლები ტკივილი და ბევრი სიხარული ყოფილიყოს ყველა ჩვენგანის ცხოვრების მეგზური.

პატივისცემით,
**ლელა შარაშენიძე**
ოზურგეთის სამუსიკო სკოლის დირექტორი




2019 წელს მეტი სიხარული მოეტანოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის, ახლობლებისთვის, სრულიად საქართველოსთვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს, სიკეთეს, ბედნიერებას. იმრავლეთ და იბედნიერეთ!

**ლავრენტი ბიგვავა,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის კომისიის თავმჯდომარე



მოგესალმებით და გილოცავთ 2019 წლის მობრძანებას! სიხარულისა და ბედნიერების, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს იგი ყოველი თქვენგანისათვის, აგხდენოდეთ ყველა ოცნება, გაგმართლებოდეთ იმედი, გქონოდეთ ფუძე მაგარი და ჭერი მაღალი!

**გელა (ტარიელ) აროშიძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

## გუბერნატორმა სოციალურად დაუცველ ოჯახებს მიულოცა



**ალიონი.** 31 დეკემბერს, გურიაში სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს ესტუმრა. მათ დამდეგი შობა - ახალი წელი მიულოცა და საახალწლო ნობათი გადასცა.

–დღეს ლანჩხუთში, ოზურგეთსა და ჩოხატაურში მოვინახულე უკიდურესად შეჭირვებული ოჯახები და მათ საჭიროებებს ადგილზე გავეცანი. სოციალური პირობების გაუმჯობესება, ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რათა ამ ადამიანების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს. ვულოცავ ყველას დამდეგ ახალ წელს. მომავალი წელი ყოფილიყოს კეთილდღეობის, სიხარულის და წარმატებების მომტანი“ – განაცხადა **ზურაბ ნასარაიამ.**

## რეალიკისთვის „რეცეპტად“ გამოწერილი ჯარიმა

ოზურგეთელ ავთანდილ ვაშალ-ომიძეს წინასაახალწლოდ, კერძოდ, 23 დეკემბერს, თაყაიშვილის ქუჩაზე, სამშენებლო მაღაზიიდან „სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურამდე საკუთარი ავტომობილით 50-60 მეტრამდე გადაადგილება 40 ლარი დაუჯდა.

საქმე ისაა, რომ მაღაზიიდან გამოსულ მძღოლს, რომელსაც ავტომობილში გვერდით თავისი მეუღლე ეჯდა, ღვედის გადაკვრა დაავიწყდა, ბენზინგასამართსადგურზე მისულს კი თავზე პატრული დაადგა.

ბატონმა ავთომ აღიარა, რომ ღვედი ნამდვილად არ ეკეთა და იქვე სთხოვა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და წესების დამცველებს, თუ შეიძლებოდა, არ ამოეწერათ ჯარიმა. პატრულ-ინსპექტორმა იაზონ ვერულიძემ არათუ გაითვალისწინა მძღოლის თხოვნა, არამედ გადაწყვიტა მძღოლი სიმთვრალეზე შეემოწმებინა.

რამდენიმე ჩაბერვის შემდეგ გულისნაოპერაციებმა 70 წელს მიღწეულმა ვაშალომიძემ, მორიგ ჩაბერვაზე განაცხადა, რომ მეტი აღარ შეეძლო და შეურაცხყოფილადაც იგრძნო თავი. ვაშალომიძეს მეუღლეც გამოექომაგა და რამდენიმე სიტყვით პატრულის ქმედება გააპროტესტა. პასუხად მეორე პატრულმა – რას ებოდიშები, ამოვუწეროთ ჯარიმაო და კამათს ამით დაუსვა წერტილი.

– თხოვნა რომ არ გაითვალისწინა და ჯარიმა ამოწერეს, ეგ არაფერი, დავაშავე და გადავიხდი, მაგრამ ამ ხნის კაცი რომ ამითვალწუნეს, ხან ასე ჩაბერე, ხან ისეო და საშველი არ დამაყენეს, ეს ნამდვილად შეურაცხმყოფელია, – გვითხრა ვაშალომიძემ.

ერთი ანეგდოტისა არ იყოს, რაც იყო – იყო, ჩაბარდეს ძველ წელს. ახალ წელს ვულოცავთ დაჯარიმებულ ბატონ ავთანდილს ვაშალომიძეს, დამჯარიმებელ იაზონ ვერულიძესა და მის კოლეგას. კარგი იქნება თუ ახალი წლიდან პატრულ-ინსპექტორები, რომელთაც საკმაოდ საპასუხისმგებლო მისია აკისრიათ, თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას, მეტი პატივით მოექცევიან კანონმორჩილ მოქალაქეებს.

## წინასაახალწლო კონცერტი მუსიკალურ სკოლაში



**ალიონი.** ოზურგეთის გრიგოლ კილაძის სახელობის მუსიკალურ სკოლაში წინასაახალწლო კონცერტი ჩატარდა. სხვადასხვა კლასის მოსწავლეებმა სხვადასხვა მუსიკალურ ინსტუმენტზე მუსიკალური ნაწარმოები შეასრულეს. მოსწავლეებს მასწავლებლებიც ეხმარებოდნენ.

„გვინდა ვაჩვენოთ სექტემბრიდან დღემდე ბავშვები და პედაგოგების მუშაობის შედეგი“– გვითხრა მუსიკალური სკოლის დირექტორმა, ლელა შარაშენიძემ. ერთობლივი მუშაობის შედეგი მართლაც შთამბეჭდავი იყო. ბოლოს სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებულ სიმღერაზე შექმნილი კლიპიც აჩვენეს.

საახალწლო კონცერტს მუსიკალურ სკოლააში განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი, მარინა ჯაფარიძე და ქალაქის ვიცე მერი, ალექსანდრე სურგულაძე ესწრებოდნენ.

## „გურია“ კვლავ ქმნის განწყობას საოცარს, პოზიტიურს...

**მარი კოძოევი**

30 დეკემბერს, რესტორან თამარიონში, ისეთი კონცერტი გაიმართა მნახველს სასიამოვნოდ რომ გააკვირვებდა. „საქველმოქმედო ასოციაცია გურიას“ ბენეფიციარებმა მოახერხეს და აამღერეს ყველა. სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და პოლიტიკოსები, „პოზიციაც“ და ოპოზიციაც.

„საქველმოქმედო ასოციაცია გურია“ საახალწლო ღონისძიებებს იგივე ფორმატით უკვე რამდენიმე წელია მართავს, შეიძლება ითქვას რომ ტრადიციად აქციეს. წელსაც მონაწილეთა სია მოცულობითი იყო. ორგანიზაციის წევრები რომ სცენაზე მშვენივრად გამოიყურებიან უკვე ვიცით, სტუმრებმაც არ შეირცხვინეს თავი.

მხარის პირველი პირი თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ დაესწრო ღონისძიებას მუნიციპალიტეტის პირველი პირები სიმღერას და ლექსის კითხვას არ დაზარდნენ. ჩოხატაურის მერმა, ირაკლი კუჭავამ და ლანჩხუთის მერმა, ალექსანდრე სარიშვილმა მხატვრული კითხვის მშვენიერი ნიჭი გამოავლინეს, კონსტანტინე შატაშენიძემ სიმღერის.

კონცერტი ერთად შესრულებული კლუმინაციური მუსიკალური ნომრით დასრულდა. ყველაფერმა ერთად წინასაახალწლო განწყობა ნამდვილად შეგვიქმნა. „გურიაში“ ამბობენ რომ ტრადიცია მომავალ წლებშიც გაგრძელდება.



## „ცეროდენებმა“ ახალი წელი მოგვილოცეს

**მარი კოძოევი**

ოზურგეთის ნომერ მეოთხე საბავშვო ბაღის „ცეროდენებმა“ ახალი 2019 წლის მოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მოგვილოცეს დამდეგი დღესასწაული. მოგვილოცეს ბავშვური გულწრფელობით, სილაღით. 4-5 წლიანთა ჯგუფს ბევრი უშრომია თავი ღირსეულად რომ წარმოედგინათ. გამოუვიდათ კიდეც. ლექსები, სიმღერები, ქორეოგრაფიული ნომრები პატარა არტისტებმა მოხდენილად მიიტანა მაყურებლამდე. ბოლოს თოვლის ბაბუას უხმეს. მანაც არ დაიზარა და მოვიდა, კლოუნთან ერთად, თანაც, საჩუქრებით. პატარებმა სტუმარს საყვარელ ნანა მასწავლებელთან ერთად უმასპინძლეს. ნანა კეკელიძე უკვე 17 წელია მეოთხე საბავშვო ბაღში ის აღსაზრდელებზე ზრუნავს.

**ნანა კეკელიძე** (ჯგუფის აღმზრდელი): – „*ვულოცავ ჩემს ბავშვებს ახალ წელს. მინდა რომ ბედნიერი და ლაღი ბავშვობა ქონდეთ. ჩვენ, უფ-როსებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ რომ ლამაზი ბავშვობა ვაჩუქოთ მათ.*“

**მერიკა ღლონტი,** მეოთხე საბავშვო ბაღის მენეჯერი: „*შობა-ახალი წელი მინდა მივულოცო უსაყვარლეს პატარებს. ვუსურვებ სიკეთეს ულევს, სიხარულს უთვლელს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას. ეცხოვრონ ლა-მაზ საქართველოში. ამის იმედი და წინაპირობა გვაქვს რაც მახარებს. ბავშვებო, ყველაფერი საუკეთესო გქონდეთ. თქვენ ჩვენი ცხოვრების ყვავილები ხართ.* “



# ოზურგეთის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა



**ალიონი.** 2018 წლის 26 დეკემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, თავის რიგგარეშე სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა.

2019 წლის ბიუჯეტი 24 მილ 186 ათას 800 ლარს შეადგენს და ის შემდეგ პრიორიტეტებში გადანაწილდა:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 9 232 400 ლარით განისაზღვრა; პრიორიტეტი განათლება 4 000 000 ლარითაა წარმოდგენილი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ბიუჯეტი: 4 035 900 ლარს შეადგენს, ხოლო სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვა 1 695 500 ლარს.

ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების პროცესს ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის (სოფ. თხინვალი) და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბიუჯეტი 28 ხმით დამტკიცდა, კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“დეპუტატებმა.

## რატომ ვერ უმატებს მუნიციპალიტეტი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პედაგოგებსა და სხვა პერსონალს ხელფასს?

საკრებულოს სხდომაზე, სადაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტს განიხილავდნენ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა თანამშრომლების ხელფასის მომატებაზეც დაისვა კითხვები.

**ლელა საჯაია**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე: *—ჩვენ შემდეგი საკითხები გვაინტერესებს: საბავშვო ბაღების მშენებლობა; საბავშო ბაღებში პედაგოგების და პერსონალის ხელფასების მინიმუმ 50 ლარით გაზრდის თემა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაც-იულ შენობაში შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექ-მნა.*

ლელა საჯაიას შეკითხვებს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გია მამაკაიშვილმა უპასუხა: *— ქალაქში ამ ეტაპზე ბაღებში 7 ჯგუფის დამატებას ვფიქრობთ. სოფლის და ქალაქის ბაღების აღმზრდელ-მასწავლებლების ხელფასის გათანაბრება მოვახდინეთ. მესმის, დაბალი ხელფასებია, მა-გრამ ცუდია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჯერ შესაბამისი ბაზა უნდა შევქმნათ და შემდეგ მოვუმატებთ მათ ხელფასს.*

**კოტე შარაშენიძე,** მუნიციპალიტეტის მერი: *— მუნიციპალური განვითარების ფონდი ახალ სკოლებს და სკოლამდელ დაწესებულებებს აშენებს. ჩვენ გვინდოდა საბავშვო ბაღებში მოგვემატებინა ხელფასები, მაგრამ არ გვაქვს შესაბამისი საკონანმდებლო ბაზა.*

**გელა აროშიძე,** ფრაქცია „ქა-რთული ოცნება-დემოკრატიული საქართვე-ლოს“ თავმჯდომარე:—სკოლამდელი აღზღდის დაწესებულებებში ხელფასების მატება უნდა მოხდეს.

**კოტე შარაშენიძე:** *—ხელფასის თემაზე ვიბრძოლებთ ფინანსთა სამინისტროში. ხელფასი რომ გავზარდოთ ითხოვენ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ავტორიზაციას, აიპებად ჩამოყალიბებას.*

**ლავრენტი ბიგვავა,** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: *—დღევანდელი არსებული მდგომარეობით სკოლამდელ დაწესებულებებში ხელფასების მატება 2021 წლამდე არ იქნება.*

**ლალი სიჭინავა,** სოფელ ცხემლისხიდის მაჟორიტარი დეპუტატი: *—იქნებ მოხერხდეს და საბავშვო ბაღების თანამშროლებს საახალწლოდ პრემიები მიეცეთ..*

**კოტე შარაშენიძე:** *—სარვამარტოთ მივცემთ მე-13 ხელფასს..*

საფინანსო სამსახურის განყოფ-ილების უფროსმა **პავლე ჭყონიამ** განაცხადა, იგეგმება ბაღების აიპებზე თანხების დამატება.

**მარი ჩხიკვიშვილი**, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველ-ოს“ თავმჯდომარის მოადგილე: *—სოფელ დვაბზუდან პრიორიტეტად 5 პროექტი იყო წარმოდგენილი და არც ერთია ბიუჯეტის პროექტში შეტანილი; თანაბრად უნდა მოხდეს პროექტების შეტანა და არა შერჩევითი პრინციპით;*

*ნაშთები უნდა იყოს ჩაშლილად წამოდგენილი;*

*საზაფხულო ბაღები ვერ შევთავაზეთ მოსახლეობას;*

*წელს დვაბზუს ნასაკირალში საბა-ვშვო ბაღის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო. ასევე ცუდ მდგომ-არეობაშია აქ მისასვლელი 1,2 კმ. გზა.*

ჩხიკვიშვილს კითხვებზე **გია მამაკაიშვილმა** უპასუხა, რომ ინავრის თვის ბოლოს ნაშთების გადანაწილ-ებისას (5 მილიონ ლარამდე) ვიმ-სჯელოთ თუ რისი გაკეთებაა შესაძ-ლებელი.



## დავით მჟავანაძე: „აიპების 1 მილიონამდე თანხა არ უნდა იხარჯებოდეს პარტიული აქტივისათვის“

საკრებულოს სხდომას ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე დავით მჟავანაძე (სოფელ ჭანიეთის მაჟორიტარი დეპუტატია), დაბა ნასაკირალის მაჟორიტარი ბესო ქათამაძე ესწრებოდნენ.

ბესო ქათამაძემ დაბა ნასაკირალში სკოლის ახალი შენობის შესახებ დასვა კითხვა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში სველი წერტილი კეთდება, ახალი სკოლის მშენებლობა კი დაპროექტებულია მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის მიერ. ბიუჯეტის შესაფასებლად ყველა კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეს მიეცა სიტყვა.

დავით მჟავანაძემ ასე შეაფასა მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი:

*—2019 წლის ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით გაცილებით უკეთაა შედგენილი. ამას ვამბობ სოციალური მიმართულებით. მაგ. ონკოლოგიურ დაავადებულებზე გაიზარდა დაფინანსება; აღდგა სოფლის მხარდამჭერი პროგრამა, მაგრამ „ქა-რთულმა ოცნებამ“ თავი ვერ დააღწია პარტიულ დაფინანსებას. ა (ა) იპ-ებში 1 მილიონამდე თანხა არ უნდა იხარჯებოდეს პარტიული აქტივისათვის და გადახარჯვაა...მე წარმოდგენილი ბიუჯეტის მისაღებად კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებ.*

დავით მჟავანაძეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძე** არ დაეთანხმა.

*— პროგრამული ჭრილიდან არაა დახლოებული ეს ბიუჯეტი. ამ ბიუჯეტის ფორმირებაში მოსახლეობაც იყო ჩართული. ყველა ფრაქციას უნდა წარმოედგინა წინადადებები. თქვენ არ წარმოგიდგენიათ. არ მესმის თქვენი..*

*—რა წარმოდგენა გინდოდათ, ახლა გეუბნებით: —მუნიციპალიტეტის 24 მილიონიან ბიუჯეტში 10 მილიონი ხელფასებზეა გათვალისწინებული* —უპასუხა **მჟავანაძემ.**

საკრებულოზე საფინანსო სამსახურმა განმარტა, რომ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების დაფინანსებაზე 5 080 000 ლარი დაიხარჯება.

დავით მჟავანაძემ რაში მონაწილეობა არ მიიღო.



## რატომ არ მისცა ხმა ნარუჯის მაჟორიტარმა დეპუტატმა ინფრასტრუქტურულ პროექტების დამტკიცებას

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2019 წლის ბიუჯეტს მუხლობრივად უყარეს კენჭი და საკრებულომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წელს რეგიონებში განხორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტებიც განიხილეს.

განკარგულების მიხედვით, 2019-2020 წლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განხორციელდება:

ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების - შემოქმედელის -2267 გრძ.მ; საფო მგელაძის-150 გრძ.მ, ლერმონტოვის-305 გრძ.მ. რეაბილიტაცია;

ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით გზის რეაბილიტაცია (5960 გრძ.მ);

ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ბაილეთის ცენტრის გავლით გზის რეაბილიტაცია (5667 გრძ.მ);

ოზურგეთი-ნატანები-ურეკის სახელმწიფო მნიშვნელობის გზიდან სოფელ შრომის (ეკალდიდი)-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (6150 გრძ.მ).;

სოფ.გაღმა დვაბზუ-ბახვის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (2300 გრძ.მ);

ოზურგეთი-ნატანები-ურეკის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზიდან, სოფ ხვარბეთის გავლით კონჭკათის (კატისციხე) საზღვრამდე დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები -4868 გრძ.მ;

სოფელ ცხემლისხიდი-სოფ. ვაკიჯვრისგზიდან ბაღდადის ეკლესიამდე დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1662 გრძ.მ;

სოფელ დვაბზუს ცენტრიდან სოფელ ბოხვაური(ჭალას) სასაფლაომდე სარეაბილიტაციო სამუშაოები 1387 გრძ.მ.

როგორც მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **თემურ გიორგაძემ** განმარტა ამ პროექტებზე 9 244 000 ლარია გათვალისწინებული, თუმცა შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, ინფრასტრუქტურულ პროექტებს 2019 წელს 12 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება.

*—დაბა ნარუჯა ერთადერთია, სადაც მისასვლელი გზა არ არის. ამაზე ადრეც ვამბობდი. მე სოფლიდან სოფელში გადასასვლელი გზების პროექტს არ მივცემ ხმას* —განაცხადა დაბა ნარუჯის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ვალოდია ბერიძემ**.

ვალოდია ბერიძემ სიტყვა შეასრულა და ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცებას ხმა არ მისცა.

## „როგორ გგონიათ, თქვენ ხედავთ და მე ვერ ვხედავ“

(„შენიშვნა“ სოფელ ნატანების მაჟორიტარს)

სოფელ ნატანების მაჟორიტარმა დეპუტატმა **თამაზ ტუღუშმა** მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვისას განაცხადა, რომ *სოფელ ნატანებში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედანი მოასფალტებას საჭიროებს, ასევე მისახედია შეკვეთილთან დამაკავშირებელი გზა.*

თამაზ ტუღუშის ამ სიტყვას მერის, **კონსტანტინე შარაშენიძის** რეაქცია მოყვა:

*— როგორ გგონიათ, თქვენ ხედავთ და მე ვერ ვხედავ? იმას, რასაც თქვენ ხედავთ, მე შეიძლება უკეთ ვხედავდე. წყალსადენის მშენებლობისთვის სოფელ მერიაში 40 მეტრ სიღრმიდან უნდა ამოსულიყო წყალი. ახლა 120 მეტრზეა დაბურღილი და შეიძლება შეკვეთილში წყალი საერთოდ არ იყოს* —განაცხადა შარაშენიძემ.

გამოიწერეთ გაზეთი
„ალიონი“
ერთ წლით – 30 ლარი
6 თვით – 15 ლარი
3 თვით – 7.50 ლარი

# ოზურგეთში საშობაო ალილოს ტრადიციული მსვლელობა მოეწყო



შობის დღესასწაულზე გურიაში ტრადიციული „ალილო“ გაიმართა. მსვლელობა დღის 12 საათზე ოზურგეთის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო. მსვლელობას წინ სასულიერო პირები მიუძღვებოდნენ.

ალილოს მონაწილეებს გურიაში სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდა. მათ ალილოს მონაწილეებს საახალწლო ნობათი, ტკბილეული და საჩუქრები გადასცეს.

*„მართლმადიდებელი სამყარო დღევანდელ დღეს განსაკუთრებულად აღნიშნავს. ქრისტეშობის დღესასწაულზე გურიაში ტრადიციული საშობაო მსვლელობა „ალილო“ იმართება. რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში გროვდება შეჭირვებული ოჯახების დასახმარებლად შემოწირულობები.*

*აღსანიშნავია, რომ მივიწყებული ალილოს ტრადიცია საქართველოში რამდენიმე წელია რაც აღდგა და საყოველთაო დღესასწაულის სახე მიიღო.*

*ყველას გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სულიერ სიმშვიდეს, და უფლის წყალობას. მრავალს დაესწარით“! -* განაცხადა ზურაბ ნასარაიამ.



# გაზეთი „ალიონი“ 88 წლისაა




5 იანვარს 88 წელი შესრულდა გაზეთ „ალიონის“ დაარსებიდან. საქართველოში მხოლოდ 2 რეგიონული გაზეთია შემორჩენილი, რომელსაც 88 წლიანი ისტორია აქვს და ამ ხნის მანძილზე გამოცემა არ შეუწყვეტიათ. ზაფხულში 88 წლის გახდება გაზეთი „ბორჯომიც“.

**პირველი ნაბეჭდი გაზეთი „გურიის ხმა“ 1918 წელს გამოვიდა ოზურგეთში,** რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში იყო. ამ გაზეთის ბოლო ნომერი 1921 წლის 17 მარტს გამოვიდა. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში წავიდა, გაზეთმა არსებობა შეწყვიტა. თუმცა, 1931 წელს „ალიონის“ წინამორბედი გაზეთის დაარსებისას სტამბაში სწორედ „გურიის ხმის“ დროინდელი გამოცდილი მესტამბეები დასაქმდნენ.

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში გაზეთის რედაქტორი იყო ქართული ჟურნალისტიკის სარბიელის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა **ვახტანგ ჯაყელი** (გიზო ჭელიძის ეპითეტია). ბატონი ვახტანგ ჯაყელის მიერ დაკომპლექტებულმა და მანამდე დანიშნულმა კადრებმა ახალი ჟურნალისტიკური ატმოსფერო შექმნეს გურიაში. ესენი იყვნენ: **მამია კილაძე, თამაზ სალუქვაძე, ნუგზარ ქინქლაძე, მინდია თავაძე, ვაჟა ჭანუყვაძე, ელგუჯა შევარდნაძე, გერმანე ანდღულაძე, ვასო მექვაბიშვილი, გიგლა ვაჩეიშვილი (ჩოხატაური), ლამარა სიმონიშვილი, ვალიდა ფიფაიშვილი (ლანჩხუთი), ანა ართილაყვა, გენრიეტა ქუთათელაძე, ფაცია ცქვიტინიძე** და სხვები. მას შემდეგ, რაც გაზეთს აფთონ გურგენიძე ჩაუდგა სათავეში, რედაქციაში კვლავ ნიჭიერი ჟურნალისტები **ეთერ ქადეიშვილი და გულსუნდა მახარაძე** დასაქმდნენ (40-იან წლებში ქალბატონი გულსუნდას მამა **ლეონიდე მახარაძე** გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი იყო, მასთან მუშაობდნენ **ბორის შეწირული, აკაკი მჟავანაძე**).

გასული საუკუნის 80-იან წლებში გაზეთის ტირაჟი 20 000-მდე იყო. 1986 წელს გაზეთს ნიჭიერი ჟურნალისტი **თამაზ სალუქვაძე** ჩაუდგა სათავეში. ამ პერიოდში აშენდა ოზურგეთის პოლიგრაფიული გაერთიანების ახალი შენობა, სადაც იმ დროისთვის საუკეთესო პოლიგრაფიული დანადგარები დაიდგა (დირექტორი **ვაჟა ჭანუყვაძე**). გაზეთი ოფსეტურ ბეჭდვაზე გადავიდა...

გაზეთში 80-იან წლებში მუშაობდნენ: **ნუგზარ ასათიანი, თამაზ ხარაიშვილი, ნუკრი ნიკოლაიშვილი, ნინელი კალანდაძე, ნინო მდინარაძე, ნინო სალუქვაძე.**

1990 წლის აპრილიდან რეგიონში პირველი დამოუკიდებელი გაზეთი „ალიონი“ გამოვიდა. (რამდენიმე ნომერი „გურიას“ სახელით დაიბეჭდა). დაიწყო გაზეთის არსებობისთვის რთული პერიოდები. 1992 წელს გაზეთი „ალიონი“ 14000 ტირაჟით გამოდიოდა. შემდეგ ტირაჟმა მკვეთრად იკლო. იმ წლებში გამოჩნდა, „ალიონის“ ჟურნალისტებს როგორ უყვარდათ საკუთარი პროფესია. „ალიონი“ რეგიონში ერთადერთი პერიოდული გამოცემა იყო...

თამაზ სალუქვაძე ნიჭიერი და თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული რედაქტორი გახლდათ. 1996 წელს გაზეთის პირველი კომპიუტერული გამოცემა გამოვიდა (აიწყო „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში“), ხოლო შემდეგ მთლიანად ახალ ტექნოლოგიაზე გადავიდა.

2006 წლიდან გაზეთს ჟურნალისტი **ნუგზარ ასათიანი** ხელმძღვანელობს.

როგორც 90-იან წლებში, დღესაც ჭირს გაზეთის გამოცემა. ადგილობრივი ხელისუფლება უმეტესად მწვავედ რეაგირებს გაზეთის კრიტიკულ წერილებზე.

ვულოცავთ გაზეთ „ალიონს“ 88 წლის იუბილეს და ვუსურვებთ მართალი სიტყვის მკითხველამდე კვლავ მიტანას.

# ქუჩის ცხოველების სევდა ჩვენს ქალაქში

## *ნატო მუჯირი: „ძაღლს უსაზღვრო ერთგულება შეუძლია“*



ქალბატონი **ნატო მუჯირი,** ოზურგეთის სამხატვრო სკოლის თანამშრომელი, ბევრს შეუნიშნავს ქუჩაში, როგორ აპურებს ქუჩის ძაღლებს, მკურნალობს, ეფერება, ძაღლები კი დიდი სიხარულით ეგებებიან, ერთგული და მოსიყვარულე თვალებით შესცქერიან, ნატოს სახით მათ დიდი ქომაგი და მზრუნველი ჰყავთ. ამიტომაც მას ძაღლების ჯგუფთან ერთად ხშირად იხილავთ.

ცხოველთა სიყვარული მისი გატაცებაა. იგი არ ანსხვავებს საკუთარ და უპატრონო ცხოველებს, რომლებიც ჩვენს ქალაქში მრავლადაა. მიუხედავად თავისი მწირი ხელფასისა, მუდამ აქვს მათთვის რაღაც საკვები, წამალი, ყიდულობს პურს, ხან ძეხვს, დაუძლურებულებს ლუკმებად უმზადებს. მისი დაკვირვებული თვალი ძაღლის დაავადების დასაწყისს ამჩნევს და წამალს სპეციალურად შეძენილ სოსისში უფუთავს. მის თვალს არ გამოეპარება ქალაქში საცოდავი, ავადმყოფი ძაღლები და როგორც შეუძლია ზრუნავს მათ მკურნალობაზე.

ნატოს არ ესმის იმ ადამიანების, ვინც საკუთარ დაბერებულ, დაუძლურებულ ძაღლს, რომლებმაც მთელი ცხოვრება უერთგულა, გარეთ გამოაგდებენ, ქუჩაში ტოვებენ და ასეთ სისასტიკეს იჩენენ.

როგორც თვითონ ამბობს, ქუჩის ძაღლებს მიკედლების ადგილას ჰყავთ ქომაგები.

**ნატო მუჯირი:** „ - *ძაღლს შეუძლია თავზე მეტად შეიყვაროს პატრონი, გარემო და ამიტომ ამ გარემოს იძულებით შეცვლა მისთვის დიდი ტრაგედია. მე ბავშვობიდანვე მიყვარდა ძაღლები და ვზრუნავდი მათზე, ჯერ საკუთარზე, მერე ქუჩის ძაღლებზეც. ძაღლსავით ერთგულება არცერთ ცხოველს შეუძლია.*

*ბინაში მყავს 13 წლის მიკი, რომელიც ჩემი ოჯახის სრულფასოვანი წევრია, ქვევით, ეზოში ვერ მოვთვლი რამდენია, გარაჟში ექვსი მყავს. ამ ბოლოს მყავდა ლომა, დაბერებული ქართული ნაგაზი, ქუჩიდან მომეკედლა. ავარიაშიც მოყვა და ჭრილობებს ვუმუშავებდი, დავარდნილს ვუვლიდი. ადამიანივით გამოხატავდა დარდსა და ტკივილს. თავშესაფარში რომ წამეყვანა გული გაუტყდებოდა. წამლებს კიდეც ვყიდულობ, მეგობრებიც, თავშესაფრის თანამშრომლებიც მეხმარება. ხან გარაჟის სახელურზე მხვდება ჩამოკიდული საკვები.*

*სამხატვრო სკოლაში ვმუშაობ. იქაც მყავს მიკედლებული ძაღლები, ზოგი მოვარჩინე კიდეც, ერთს, ლორდის, ავარიის ტრამვა ჰქონდა ჭრილობის სახით... ვერ წარმოიდგენ როგორი სიხარულით მხვდებიან ქუჩაში. მგონი მაგისთვის გავჩნდი რომ მაგათ ვუპატრონო. ოჯახის წევრებიც მეხმარებიან. ზოგჯერ თავი ხიფათში ჩამიგდია, ხან ჩხუბში ვერთვები გასაშველებლად. ჩემთვის არასდროს არ უკბენიათ.*

*ვარ ცხოველთა დაცვის ფედერაციის წევრი, თავშესაფართან კარგად ვთანამშრომლობ, ვაპურებთ ძაღლებს, ქალაქგარეთაც გავდივართ, წამლებიც აქვთ. თავშესაფარში ძაღლებს ცრიან, კასტრაციას უკეთებენ და აბრუნებენ მიკედლების ადგილას. სამწუხაროდ, ზოგი ადამიანი მტრულად ეკიდება ამ დაჩაგრულ ცხოველებს. მიკვირს მათი საქციელი. თუ არ ეხმარები, ნუ მტრობ მაინც.“*

ნატო ერთადერთი არ არის ვინაც ქუჩის ძაღლებს ქომაგობს, მაგრამ მისნაირები უმცირესობაში არიან. მას მართლაც ყველაზე კარგად ესმის, რას ეუბნება ძაღლი თვალებით, ყველაზე მეტად სტკივა მათი ტკივილი.

სამწუხაროდ, ძნელია ოქროს შუალედის ნახვა. ქუჩის ცხოველების სევდა ძალიან აწუხებს ჩვენს ქალაქს და რეალობაც გვაიძულებს თანაცხოვრებას, რომელიც უმჯობესია თანაგრძნობის საფუძველზე ავაგოთ.

ნატოს და ასევე ყველა ჰუმანური ადამიანის თხოვნაა, ნუ მოექცევიან სასტიკად ქუჩის ძაღლებს, ისინი ხომ ისედაც დაჩაგრულები არიან, არასდროს არ დაგივიწყებენ თუ ერთი ლუკმა გაიღე მათთვის, განსაკუთრებული თხოვნაა მძღოლების მიმართ, შეაჩერონ ან შეანელონ მანქანა და გაატარონ, ოთხფეხა მეგობრები... გახშირდა მანქანის მიერ დაზიანებული, აკივლებული ძაღლები, გდია ქუჩებში წვიმაში და სიცივეში, თვითონ ვითომ არაფერი, გზას გააგრძელებენ და ისევ სხვა ადამიანი თუ შეიცოდებს და ეპატრონება მათ. ვიყოთ უფრო გულმოწყალენი უპატრონო ცხოველების მიმართ.

**ლია კილაძე**

# გურიის რეგიონის XXIII საჭადრაკო ჩემპიონატი დამთავრდა

ოზურგეთის სპორტის სასახლეში მიმდინარე გურიის რეგიონალური საჭადრაკო ჩემპიონატის შესახებ ინფორმაცია ჩვენს მკითხველს მივაწოდეთ. გურიის 2018 წლის ჩემპიონატი, რომელიც შვეიცარული სისტემით, 7 ტურად მიმდინარეობდა, 25 დეკემბერს, საღამოს დასრულდა. საბოლოო შედეგები ბოლო ტურში გოგოლაური-გვარჯალაძის, თოიძე-სიამაშვილის, ტ.ხუხუნაიშვილი-ქორიძის და ცეცხლაძე-ცხომელიძის პარტიებს უნდა გაერკვია. ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს 5-ქულიანი ქორიძე იყო, რომელიც ყაიმის შემთხვევაშიც სხვებისგან მიუწვდენელი იქნებოდა. დანარჩენ 4-ქულიანებიდან კი ყველას მოგება აძლევდა ხელს, თუმცა თუ ქორიძე წააგებდა და სიამაშვილი თოიძეს მოუგებდა, მაშინ ჩემპიონი ბუჰგოლცის კოეფიციენტით (დებულებით პირველი კრიტერიუმი) ჩემპიონი გივი სიამაშვილი ხდებოდა. პროგნოზები და მოლოდინები სულ სხვაგვარად წარიმართა. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ჩემპიონობის რეალურმა კანდიდატმა სიამაშვილმა თენგიზ თოიძესთან მხოლოდ ნახევარი ქულა აიღო რითაც 4,5 ქულით საპრიზო სამეულს გარეთ დარჩა.



გ.გოგოლაური, რომელმაც საპრიზო ადგილის შანსი ადრევე დაკარგა (ერთ ერთი მიზეზი ისევ თოიძე), ამჯერად ლანჩხუთელი ნ. გვარჯალაძის დამარცხებას შეეცადა, რითაც ოზურგეთელ დავით ცეცხლაძეს კონკურენტს ჩამოაშორებდა, თუმცა ასე არ მოხდა. გასული წლის ჩემპიონმა დავითმა ჩოხატაურელ ცხომელიძესთან ბოლო პარტია კი მოიგო, მაგრამ გამოკვეთილი ლიდერობისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ლანჩხუთელ ტარიელ ხუხუნაიშვილს კი ნამდვილად გაუმართლა გივი ქორიძესთან, რომელმაც მოსაგებ პარტიაში შეცდომით ითამაშა და მეტოქეს მეტად საჭირო ქულა აალებინა.

საბოლაოდ ჩემპიონატზე ჯერ არნახული, უჩვეულო შედეგი დაფიქსირდა, ოთხმა

▶▶▶ გვ-5

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# გურიის ბულბული – სამუელ ჩავლეიშვილი

*პირველ ხმაში ჩავლეიშვილი*
*კაკანებდა ვით ბულბული*
*წვრილს ეტყოდა ბაბილოძე*
*სხვა მხრივ ენა მოქარგული*
*ბანს კონტრიძე შესზახებდა*
*დასტკბებოდა სული გული*
*სიხარულით აგავსებდათ*
*სამივეს ხმა ერთადთქმული*
**არტემ ერქომაიშვილი**



სამუელ ჩავლეიშვილი დაიბადა 1857 ასკანის თემის სოფელ ოქროსქედში. მისი მამა დავითი თავად მაქსიმელიშვილის ყმა ყოფილა.

სამუელ ჩავლეიშვილს ასკანის ორ კლასიანი სკოლა დაუმთავრებია,მაგრამ უსახსრობის გამო შემდეგ სწავლა ველარ გააგრძელა.

სოფელ ბაღდათში ცხოვრობდა თავადი მაქსიმელიშვილი, რომელიც სიმღერის დიდი მოყვარული და მცოდნე ყოფილა.მისი ოჯახი წარმოადგენდა ერთგვარ მუსიკალურ სალონს, სადაც თავს იყრიდა სიმღერის მცოდნე ახალგაზრ-დები. მაქიმელიშვილი მთელ თავის ქონებას ახარჯავდა მომღერლების აღზრდას. მისთვის სულ ერთი იყო გლეხი იყო თუ აზნაური თუ კარგად მღეროდა ხელს უწყობდა ნიჭიერ ახალგაზრდებს.სამუელმა, როცა გაიგო დათა გუგუნავა კარგად ასწავლის სიმღერასო, გაუგზავნა თავისი მსახურის შვილი.,,პატარა გლეხი'', რომელიც მაქსიმელიშვილმა გუგუნავას გაუგზავნა იყო 8 წლის სამუელ ჩავლეიშვილი. გუგუნავას კარზე ერთი წელი დაჰყო.შემდეგ დაბრუნდა მაქსიმელიშვილთან და იქ ხელოვნებოდა სიმღერაში.შემდეგ ცნობილ მგალობელ ანტონ დუმბაძესთან განაგრძო დაოსტატება.შესანიშნავმა ხმამ და ნიჭმა სამუელს სახელი გაუთქვა მთელს გურიაში. მალე სამუელმა ჩამოაყალიბა გუნდი ძმის ბესარიონის, ფამფალეთელი ბენის ინწკირველისა და ასკანელი ლადიკო დოლიძის შემადგენლობით, მოგვიანებით ამ გუნდს შეუერთდა ალექსანდრე მახარაძე,სამუელის გუნდი მალე გახდა პოპულარული .გურიის გარდა კონცერტებს მართავდნენ სხვადასხვა ქალაქებში.1906 წელს გუნდმა ჭიათურაში მუშების სასარგებლოდ გამართა კონცერტი, 1908 წელს მონაწილეობა მიიღო სხვიტორში აკაკის იუბილეზე პოეტს ისე მოეწონა. ანსამბლი, რომ მალე მისი ინიციატივით ამ ჯგუფის პირველი ჩაწერაც მოხდა გრამფირფიტაზე.ამ ფონოჩანაწერის შემდეგ სამუელ ჩავლეიშვილით დაინტერესდა მომღერალი ვლადიმერ ბერძენიშვილი და 1912 წელს მათ ბარნაბ ვახტანგ და ერმალო სიხარულიძეებთან ერთად ჩოხატაურში ერთად ჩაატარეს კონცერტი. 1913 წელს ანსამბლამა წარმატებით მიიღო მონაწილეობა ვაჟა-ფშაველას საღამოზე თბილისში, .რასაც ასევე მოჰყვა ფონოჩანაწერი, 1014 წელს გუნდმა მონაწილეობა მიიღო აკაკის იუბილეზე ქუთაისში.

სამუელ ჩავლეიშვილი ახალგაზრდებს ასწავლიდა სიმღერას, მასთან ოჯახში თვეობით რჩებოდნენ ლადიმე ბერძენიშვილი, კალისტო რამიშვილი, ვახტანრ სიხარულიძე, აკაკი ბასილაშვილი და სხვები.

ვასილ მახარაძის აზრით:" სამუელ ჩავლეიშვილმა გადატრიალება მოახდინა გურულ სიმღერაში ,ყოველგვარ მანამდე არსებულ სასიმღერო კანონებს გადაუხვია და შემოიღო ეგრეთ წოდებული თავი-სუფალი სიმღერა. განვითარების უმღლეს დონეზე აიყვა პირველი ხმა (სხვა ხმას იგი არ იმღერებდა),მის მიერ დამუშავებული ვარიანტები მისაბაძი იყო ყველა გურული მომღერლისათვის. ამიტომ ყველა სამუელს ბაძავდა,ხოლო თვითონ სამუელი ახალ ვარიანტებს იგონებდა .ერთ წვეულებაში სუფრული სიმღერა ,,წამოკრული 50-ჯერ გაუმეორებია და სულ სხვადასხვან-აირად უთქვამს, ჩვეულებრივ ხმა ოდ-ნავ ხრინწიანი ჰქონდა, მაგრამ, როცა სიმღერა დაიწყებდა ,ყველას აჯადოებდა,შესრულობის ოსტატობით და განუმეორებელი ტემბრით, ამიტომ მას ,,გურიის ბულბული'' შეა-რქვეს და იგი დღემდე,როგორც პირ-ველი ხმის საუკეთესო შემსრულებელი.''(ანზორ ერქომაიშვილი ,,ბაბუა'' თბ.1980წ.გვ 84).

1927 წელს ქართველმა საზოგადოებამ სამუელ ჩავლეიშვილს იუბილე გადაუხადა თბილისში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ,კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა., მარო თარხნიშვილმა და სხვებმა.იუბილეზე მონაწილეობა მიიღო ვარლამ სიმონიშვილის გუნდმა.

სამადლობელი სამუელს სიმღერით უთქვამს. უმღერია: ,,ალიფაშა'',''ხასანბეგურა'','' ჰა დილა'',და ბოლოს გიტარაზე დაუმღერებია ,,შავი შაშვი'' იგი ჩონგურზე სიმღერების უბადლო შემსრულებელი ყოფილა) რითაც საზოგადოება აღტაცებაში და სცენიდან ხელში აყვანილი გაუყვანიათ.

,,შავი შაშვის'' შესრულების შესახებ პროფესორი იური სიხარულიძე გადმოგვცემს: *,,შავი შაშვი'' ქართული ხალხური მუსიკის გურული შტოს ერთ-ერთი უძველესი და ურთულესი სიმღერაა.მისი საუკეთესო შემსრულებლები იყვნენ:დათა გუგუნავა ,სამოელ ჩავლეიშვილი ,ვარლამ სიმონიშვილი, ერმალო სიხარულიძე, ლადიკო ჯინჭარაძე, ძმები ერქომაიშვილები და სხვები ყველა ესენი გურული ხალხური სიმღერების უბადლო ოსტატები იყვნენ და თითქმის ყოველი თავისებური ვარიანტით ასრულებდა ამ შესანიშნავ სიმღერას''* (იური სიხარულიძე, გაზეთი ,,კრიმანჭული'' 2,2001წ.)

სამუელ ჩავლეიშვილს იუბულე გადაუხადეს ოზურგეთში,სადაც არტემ ერქომაიშვილისა და ვარლამ სიმონიშვილის გუნდები მონაწილეობდნენ.

სამუელ ჩავლეიშვილი გარდაიცვალა 1932 წლის 2 მაისს.იმავე წელს გარდაიცვალანენ ნესტორ კონტრიძე,,გიორგი ბაბილოძე.ამასთან დაკავშირებით არტემ ერქომაიშვილმა შექმნა სიმღერა ,,დავკარგეთ სამი მომღხენი''.

სამუელ ჩავლეიშვილი დაასაფლავეს საკუთარ ეზოში, შემდეგ გადმოასვენეს მახარაძეში (ოზურგეთში). აუცილებელია მისი საფლავის მოძებნა და სათანადო პატივის მიგება.

სამუელის ბიძაშვილი იყო ცნობილი მომღერალი, გურული სიმღერის დიდი მცოდნე –ილარიონ ჩავლეიშვილი, იგი დაიბადა 1857 წელს სოფელ ოქროსქედში,სათანადო განათლება მიუღია, ყოფილა მწიგნობარი, მოლექსე და პოეზიის კარგი მცოდნე. ამბობდნენ ,,ვეფხისტყაოსანი'' და ,,თამარიანი'' ზეპირად იცოდაო. რაც შეეხება მის მუსიკალურ აღზრდას იგი ბავშვობიდან დაკავშირებია სამუელს და მასთან ერთად უწავლია სიმღერები ჯერ მაქსიმელიშვილთან შემდეგ დათა გუგუნავასთან.

ილარიონი ბანის უბადლო შემსრულებელი ყოფილა .მის მიერ დამუშავებული ბანის ვარიანტები დღემდე საუკეთესოდ ითვლება. მას თვითონ ხავერდოვანი ხმა ჰქონია და დაუზარებლად ასწავლიდა რო-გორც გურიაში ისე იმერეთში ,,ილარიონის ოჯახში გახსნილი იყო ყმაწვილთათვის სიმღერების შემსწავლელი სკოლა. იგი არ დაქორწინებულა მთელი სიცოცხლე სიმღერის სწავლებას მიუძღვნა.ეს სკოლა მუშაობდა ზამთრის პერიოდში ნოემბრიდან-გაზაფხულამდე''(ასკანის ქვეყანა'' გვ.188)

ბატონ ანზორ ერქომაიშვილის აზ-რით:

,,გურიაში სამუელ და ილარიონ ჩავლეიშვილების სასიმღერო მოღვაწეობა ჩავლეიშვილების სკოლად არის აღიარებული''

**მანანა ლომაძე**

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

# მესამე საჯარო სკოლის მეთთხეკლასელები ნაახალწლევს ხელნაწერ გაზეთს გამოსცემენ



ახლახან გასრულებული წლის 25 დეკემბერს ამ შეთანხმებით დამთავრდა ქალაქ ოზურგეთის მე-3 საჯარო სკოლის მეოთხეკლასელთა თოქ-შოუ ,,ვინ არის ჟურნალისტი'', რომლისგანაც მიღებული შთაბე-ჭდილება არასოდეს ამოიშლება როგორც მოსწავლეებისა და მასწავლებლის, ისე ამ შოუში მონაწილე ჟურნალისტების მეხსიერებიდან.

რა თქმა უნდა, უმაღლესი დონის ღონისძიება არ მიკვირს ისეთი პროფესიონალი მასწავლებლისაგან, როგორიც ქალბატონი **კლარა შაფაქიძე** ბრძანდება, რომლის ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა უკვე ნახევარ საუკუნეს გასცდა და რომლის ყოველნაირად სრულყოფილ გაკვეთილში არ იგრძნობა, რომ ,,მე და საზოგადოება'' სკოლაში ახალი საგანია. დღეიდან კი არც ქალბატონი კლარას აღსაზრდელებისგან – ***ლუკა მთაიშვილისგან, გიორგი ბუკავაძისგან, ნინი ღლონტისგან, საბა გერსამიასგან, ნინო გოგიტიძისგან, ლიზა ჩხარტიშვილისგან, რეზო დიდმანიძისგან, მარი ანდღულაძისგან, ანასტასია ბოლქვაძისგან*** გამიკვირდება მსგავსი თოქ-შოუები.

მოვიხიბლე თოქ-შოუს მოულოდნელი ექსპოზიციით, როცა ამ სკოლის აღზრდილი, სამაუწყებლო კომპანია ,,გურიას'' ახალგაზრდა და უკვე ავტორიტეტული ჟურნალისტი **ნინო ვაშალომიძე** განუმეორებლად მოესიყვარულა თავის პირველ მასწავლებელს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ,,გაფრინდა''... სადაც მუნიციპალიტეტის მთავარ საფინანსო დოკუმენტს ამტკიცებდნენ... და მოხდა ისე, რომ ზემოთ დასახელებულმა პირმშვენიერმა და გონიერმა ბავშვებმა, თავიანთი ცნობისმოყვარეობითა და საინტერესო კითხვებით, ოფლი ამ სტრიქონების ავტორს მოადინეს.

მოკლედ, უკიდეგანო აღმოჩნდა მეოთხეკლასელთა თვალსაწიერი. უნდა გამოვტყდე, ზოგიერთ საკითხში ,,ჩამჭრეს'' კიდეც. ორიგინალური საჩუქარიც გამომატანეს – ქაღალდზე გადატანილ საკუთარი ხელის მტევნების თითებში ჩაწერეს თავიანთი მოსაზრება ,,როგორი უნდა იყოს ჟურნალისტი''. საგაზეთოდ მომზადებული წერილებიც გამაცნეს და გამომატანეს. რამდენიმეს უკვე გავეცანი. ვენდობი ავტორს, და ერთ-ერთს გადაუმოწმებლად და ჩაუსწორებლად ვათავსებთ ამ პუბლიკაციაში:

***,,ძვირფასო ჟურნალისტო, ჩემს ქუჩაზე უამრავი პრობლემაა, არც წყალი არის და არც გზა. მთელი ზაფხულის მანძილზე ხალხი წვალობს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ და გურიელის ქუჩა გამოგვაცოცხლებინოთ, შესაბამისმა ორგანოებმა მოგვხედონ და დაგვეხმარონ.***

***ნინო გოგიტიძე.''***

ბოლოს, როგორც უკვე სათაურში მივანიშნეთ, შედგა სიტყვიერი შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომლის პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იქნება ის, რომ ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის მეოთხეკლასელები ნაახალწლევს გამოსცემენ თავიანთ ხელნაწერ გაზეთს.

**თემურ მარშანიშვილი.**

# გურიის რეგიონის XXIII საჭადრაკო ჩემპიონატი დამთავრდა

მოჭადრაკემ: ჩოხატაურელმა **გივი ქორიძემ,** ოზურგეთელმა დავით ცეცხლაძემ და ლანჩხუთელებმა ტარიალ ხუხუნაიშვილმა და **ნუგზარ გვარჯალაძემ** 5-5 ქულით დაამთავრა ასპარეზობა. დებულებით ასეთ შემთვევაში უპირატესობის გარკვევა ბუჰგოლცის კოეფიციენტით განისაზღვრება, რაც ამჯერად უკეთესი **გივი ქორიძეს** აღმოაჩნდა და მასვე მიენიჭა გურიის 2018 წლის ჩემპიონის ტიტული. (მანამდე იგი ორჯერ-2011 და 2013 წლებში იყო რეგიონის ჩემპიონი). აღნიშნული ოთხეულის სხვა წევრები კი ვიცე ჩემპიონებად გამოცხადდა. რაც შეეხება ჩემპიონატის ორგანიზატორების მიერ დაწესებულ საპრიზო ფულად ჯილდოს და ფასიან საჩუქრებს, ისინი ოთხივე პრიზიორზე თანაბრად განაწილდა.

იყო სხვა პრიზებიც, კერძოდ ჩემპიონს ამჯერადაც გადაეცა სპეციალური პრიზი, რომელსაც სააქციო საზოგადოება ,,იმედი'' (დირექტორი ოლეგ გობრონიძე) ყოველწლიურად აწესებს გამარჯვებულთათვის.

ორგანიზატორებმა შესაბამისი პრიზი დააწესეს ჩემპიონატის ყველაზე პატარა, 9 წლის მონაწილე **თენგიზ თოიძისთვის,** თუმცა მან თამაშის დონით და ანალიტიკური აზროვნებით თავის ასაკს ბევრად გაუსწრო. რაც არაერთხელ გამოავლინდა სპეციალისტების მიერ მისი პარტიების შეფასებებში. თენგიზმა ძლიერებთან ჭიდილში 4 ქულა დააგროვა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა ჩემპიონს(!).რაც უდავოდ მაღალი შედეგია. მასვე გადაეცა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის (ვასილ ჩიქოგიძე, ზაზა ჯინჭარაძე) მიერ დაწესებული პრიზი. გურიის ნარდის ფედერაციის სახელით, მენეჯერმა ტარიელ ჭყონიამ პრიზი გადასცა შეჯიბრების მსაჯს ელგუჯა ურუშაძეს.

ჩემპიონატი, რომელიც გურიის ჭადრაკის ფედერაციისა (ხელმძღვანელი ზურაბ ანდღულაძე) და ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების (დირექტორი გელა შაფაქიძე) ერთობლივი ორგანიზირებით ჩატარდა, წინა საახალწლო ვითარებაში დაიხურა.

# ეკა ხომერიკი - საუკეთესო უფლებადამცველი

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის (აპკ) ახალგაზრდული ცენტრისა და ლიდერთა სკოლის წევრი ეკა ხომერიკი, საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ წლის უფლებადამცველად დასახელდა.

აპკ ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაციის ,,ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის პროგრამას'' [PITA].

ეკა აღნიშნული პროგრამის აქტიური მონაწილეა.



# პლანეტის ყველაზე საშიში ქალი 51 წამში დაანოკაუტეს, 2018 წლის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია

## MMA -ს ყველაზე ძლიერი მოკრივე გოგონა ამანდა ნუნიესი გახდა



ბრაზილიელი კრის საიბორგი მიიჩნევა უძლიერესად **MMA**-ში გამომავალ მოკრივე გოგონებს შორის. მან 21 ბრძოლა ჩაატარა და წააგო მხოლოდ ერთი 2005 წელს. ეს იყო მისი დებიუტი. შემდეგი 20 ბრძოლიდან საიდორგმა 17 ნოკაუტით მოიგო.

**UFC**-ში კრისმა პირველად იასპარეზა 2016 წლის სექტემბერში. მსოფლიოს უძლიერესებში მისი ჩაწერა შესაძლებელი იყო ადრეც, მაგრამ არ იყო შესაბამისი წონითი კატეგორია. პირველი ორი ბრძოლა პრომოუშენის ეგიდით მან ჩაატარა 63 კგ-მდე წონით კატეგორიაში. შემდეგ მისთვის შექმნეს საჭირო დივიზიონი ( 66 კგ-მდე), სადაც საიბორგმა მოიპოვა ქამარი და შეძლო ორჯერ წარმატებით დაეცვა ტიტული.

გავრცელებული ინფორმაციით, **MMA**-ში არსებობს მხოლოდ ერთი გოგონა, ვინც საიბორგზე ფიზიკურად ძლიერია. მას გაბი გარსია ჰქვია. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ ვერანაირ გარემოებაში ვერ მოხერხდა მათი ორთაბრძოლის ჩატარება.

2018 წლის მარტში საიბორგის წინააღმდეგ იბრძოლა რუსმა იანა კუნიცკაიამ, რომელმაც თავის კარიერაში ყველაზე მაღალი ჰონორარი გამოიმუშავა, მაგრამ დამანგრეველი წაგება განიცადა.

საიბორგის ოპოზიცია (დღეისათვის) შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მისი თანამემამულე ამანდა ნუნიესი, რომელიც ფლობდა მსუბუქი წონითი დივიზიონის ქამარს. მათი ორთაბრძოლა მზადდებოდა 9 თვის განმავლობაში. ხელისშემშლელი იყო ტრავმები და ორივე მხრიდან ორთაბრძოლაზე უარის თქმა.

**UFC**-ში ნუნიესმა მოიგო ბოლო 7 ორთაბრძოლა, მისი მეტოქეები ბრძოლის შემდეგ საშინლად გამოიყურებოდნენ. ორი წლის წინ ამანდა ნუნიესი საბრძოლველად გამოვიდა ანდერდოგის სტატუსის მქონე რონდი როუზის წინააღმდეგ და მხოლოდ 48 წამი დასჭირდა სამუდამოდ დაემთავრებინას პლანეტაზე ყველაზე პოპულარული გოგონას სახელი.

2018 წლის დამთავრებამდე ერთი დღით, როგორც იქნა ადრე შედგა ყველაზე სახელოვანი მოკრივე ქალების საიბორგისა და ნუნიესის ორთაბრძოლა, რომელიც 51 წამში დამთავრდა დამოკრივეების შეხვედრა ბუკმეკერებმა ნუნიესი ყველაზე დიდ ანდერდოგად მიიჩნიეს.

ამანდა ნუნიესი **UFC**-ს ისტორიაში პირველი გოგონაა, რომელიც ერთდროულად გახდა ჩემპიონი ორ წონით კატეგორიაში.

# ბრიტანელმა ახალი წლის დღეს ლატარიაში 115 მილიონის ჯეკპოტი მოიგო

imedinews.ge-ს ინფორმაციით, დიდ ბრიტანეთში ახალი წლის დღეს 115 მილიონი ფუნტი სტერლინგის ჯეკპოტი გათამაშდა. ლატარიის ეროვნული კომპანიის განცხადებით, ქვეყნის ისტორიაში ამ ოდენობის თანხა მეოთხედ მოიგეს. ინფორმაციას **BBC** ავრცელებს.

ლატარიის ბილეთის გამარჯვებული რიცხვები იყო: 01, 08, 11, 25, 28, ხოლო ხოლო იღბლიანი რიცხვები: 04 და 06. ერთ-ერთ ადამიანს კი სწორედ ეს ნომრები აღმოაჩნდა და 114,969,775.70 ფუნტი სტერლინგი ჯეკპოტი მოხსნა.




# სამძიმარი

კახა ვასაძე, დავით მდინარაძე, ნუგზარ ასათიანი, სოსო მგელაძე თანაუგრძნობენ მერაბ, ზაზა სიორიძეებს დედის, **ლამარა აროშიძე-სიორიძის** გარდაცვალების გამო.

„ვი თი ბი“ ბანკის ოზურგეთის ფილიალის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მერაბ, ზაზა სიორიძეებს დედის, **ლამარა აროშიძე-სიორიძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს მანანა, მერი ჭანუყვაძეებს მეუღლისა და სიძის **თემურ ვაშაკიძის** გარდაცვალების გამო.

# სკანვორდი




## № 48-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ნოდარ მგალობლიშვილი; ქალაქი თურქეთში — ბურსა; სამღვდელო სამოსი — ფილონი; ბულბულის სტვენა — ტია; ბურღულეული — მანი; ცნობილი მთა სამეგრელოში ურთა; ყოფილი პორტუგალიელი ფეხბურთელი — ტორესი; სამისნო წიგნი — რამლი; ერთიანი ნარდში — იაქე; ტასმანიის აღმომჩენი — ტასმანი; ტოლი — რუბეროიდი; ა. ღოღობერიძის ზედმეტსახელი — ბასა; პატარა ჭური — დერგი; შეძახილი ცეკვაში — ასა; ვ. ულიანოვის ფსევდონიმი — ლენინი; ი. გეჯაძის ოპერა — განთიადი; კომპასი — ყიბლანა; ლითონზე ამომტვიფრავი — მღარავი; გაზაფხულის ყვავილი — ია; ჭიდაობა — რკენა; სასიამოვნო — საამური; ადიღეს დედაქალაქი — მაიკოპი; საიდუმლო გულისნადები — ხვაშიადი; ფრინველთა წრიული ფრენა — ირაო; საქორწინო საჩუქარი დედოფლისათვის — პირისანახავი; ექსკურსიამძღოლი — გიდი; მდინარე — ამური; ზედამხედველი — ნაზირი; სოფლის ყრილობა — ჯამაათი; გრამატიკული კავშირი — და; ცეცხლის ენა — ალი; მწვანე ღვინო — მანავი; მდინარე ალჟირში — მინა; ბოლო ნოტი — სი; კაენის ძმა — აბელი; წუხილი — ურვა.

# გურიის სამთავროს გაუქმება
## (XIX საუკუნის პირველი მესამედი)

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით




გურიის სამთავრო 1820 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ მალევე უნდა გაუქმებულიყო. სამთავროს გაუქმებისათვის კავკასიის მთავარსარდალი ალექსეი ერმოლოვი საგულდაგულოდ ემზადებოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს მოვლენა გარკვეული დროით გადაიდო.

### გურიის სამთავრო მამია V გურიელის გარდაცვალების შემდეგ

1826 წლის 21 ნოემბერს გარდაიცვალა გურიის მთავარი **მამია V გურიელი.** მთავარს დარჩა ვაჟი **დავითი** და ქალიშვილები: **ეკატერინე, ტერეზია, კოჭიბროლა** და **სოფიო.** მამია გურიელის გარდაცვალებიდან მესამე დღეს სახლთუხუცესმა **დავით მაჭუტაძემ** და მდივანბეგმა **გიორგი ნაკაშიძემ** სამთავროს თავადები და აზნაურები შეკრიბეს და დედოფალ **სოფიოსა** და ტახტის მემკვიდრე **დავით ბატონიშვილის** ერთგულებაზე დააფიცეს. დაფიცებაზე უარი განაცხადეს მხოლოდ თავადმა **ერისთავმა** და მისმა სახლიშვილებმა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ დაფიცებამდე აუცილებელი იყო რუსეთის ხელისუფლების ნებართვის მიღება. ერმოლოვმა დაფიცების აქტი უკანონოდ მიიჩნია და დედოფალ სოფიოს საყვედურიც შეუთვალა. კავკასიის მთავარსარდალს ეჭვი ეპარებოდა გურიის დედოფლის ერთგულებაში, ამიტომ ყველანაირად ცდილობდა მისი ძალაუფლების შეზღუდვას. ალექსეი ერმოლოვის ბრძანებით, 1827 წლის 3 იანვარს დაარსდა **„გურიის სამთავროს სამ-მართველო საბჭო"**. საბჭოს სამთავრო მანამ უნდა ემართა, ვიდრე დავით გურიელი სრულწლოვანი გახდებოდა. საბჭოს თავმჯდომარედ დედოფალი სოფიო დამტკიცდა, წევრებად — ექვსი თავადი: **ვახტანგ ერისთავი, დავით მაჭუტაძე, სვიმონ გუგუნავა, გიორგი ნაკაშიძე, გიორგი ერისთავი, გიორგი თავდგირიძე.** გურიის სამთავროს სამმარ-თველო საბჭოს რეზიდენცია სოფელ **ნაგომარში** უნდა ყოფილიყო. ერმოლოვს დედოფალ სოფიოსათვის პირობა ჰქონდა მიცემული, რომ საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრას მას მიანდობდა. შემდეგ კავკასიის მთავარსარდალმა პირობა დაარღვია და საბჭოში გურიის დედოფლის აშკარა მტრები შეიყვანა. სოფიოს პროტესტი ერმოლოვმა არ მიიღო და მას განუმარტა: საბჭოს თავმჯდომარედ დედოფლის დანიშვნა იმის დამადასტურებელი იყო, რომ გურიის სამთავრო სახლის უფლებები დაცული იქნებოდა. კავკასიის მთავარსა-რდალი ვერაფერ სათაკილოს ვერ ხედავდა იმაში, რომ დედოფალ სო-ფიოს სამთავრო თავადებთან ერთად უნდა განეგო. ერმოლოვმა ამ განმარტებას მუქარაც მოაყოლა: თუ დედოფალი სო-ფიო რუსეთის ხელისუფლებას არ დაემორჩილებოდა, მას ძალით დაიმორ-ჩილებდნენ. დედოფალი მუქარას არ შეუშინდა. 1827 წლის თებერვალში მისი მოთხოვნით გურიის თავადებისა და სამღვდელოების ნაწილმა (მიტროპოლიტმა ნიკოლოზ ჯუმათელმა, თავადებმა: დავით ვახტანგის ძე გურიელმა, გიორგი ლევანის ძე გურიელმა, სვიმონ ერისთავმა, გიგო ერისთავმა, ნარიმან მაჭუტაძემ, ბიჭია შალიკაშვილმა, გუგუნავების და ნაკაში-ძეების სათავადო სახლებმა და სხვებმა) თხოვნით მიმართეს ერმოლოვს, რათა გურიის სამთავროს სამმართველო საბჭ-ოს შექმნის შესახებ მის მიერ გამოცემული ბრძანება გაეუქმებინა. თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ დედოფალს შეეძლო პირადად ემართა სამთავრო. გურული თავადები წერდნენ, რომ მამია გურიელის ავადმყოფობის პერიოდში დედოფალი შესანიშნავად უძღვებოდა სამთავროს საქმეებს, ამჯერად კი მას სამთავროს მართვაში ხელს უშლიან საბჭოს წევრებად დანიშნული მისი მტრებიო. ერმოლოვს გურიის სამთავროს გაუქმება უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამიტომ უკან არ დაიხია და საბჭო არ გააუქმა.

ალექსეი ერმოლოვის მიერ შექმნილ გურიის სამთავროს სამმართველო საბჭოს დებულება ათი მუხლისაგან შედგებოდა. ეს მუხლები შემდეგი შინაარსისა იყო: 1. საბჭო იქმნებოდა გურიის მთავრის გარდაცვალების გამო; 2. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა თავმჯდომარე (დედოფალი) და 6 წევრი; 3. საბჭოს წევრებად ინიშნებოდნენ გურიის დედოფლისა და იმერეთის დროებითი მმართველობის მიერ შერჩეული რუსეთის ერთგული თავადები და აზნაურები; **4.** საბჭო იარსებებდა გურიის მთავრის მემკვიდრის სრულწლოვანებამდე; 5. საბჭო განაგებდა სამოქალაქო სამართლის საქმეებს, სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავდა იმერეთის დროებითი მმართველობა; 6. საბჭოს უნდა ეწარმოებინა სხდომათა ოქმები, რათა საჭიროების შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლებას საშუალება ჰქონოდა შექმნილ ვითარებაში გარკვეულიყო; 7. საბჭო გადაწყვეტილებას საერთო სხდომაზე იღებდა ხმების უმრავლესობით. თუ ხმები გაიყოფოდა, მაშინ უპირატესობა დედოფლის ხმას ენიჭებოდა; 8. საბჭოში ყველა დოკუმენტი შედიოდა არა კონკრეტულად რომელიმე წევრის, არამედ, საერთოდ, საბჭოს სახელზე, ასევე საბჭოს სახელით გაიცემოდა ყოველგვარი დოკუმენტი; 9. თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევდა გურიაში რაიმე ახალი დაწესებულების შექმნას, ეს საკითხი იმერეთის მმართველისათვის უნდა შეეთანხმებინა, თავის მხრივ, მმართველი თხოვნას აღძრავდა კავკასიის მთავარსარდლის წინაშე; 10. საბჭო ვალდებული იყო შეესრულებინა რუსეთის ხელისუფლებისათვის მიცემული ყველა პირობა. გურიის სამთავრობო სამმართველოს ყველა წევრი მცირეწლოვანი ტახტის მემკვიდრის მეურვედ იქნა გამოცხადებული, რამაც ძალზე გააღიზიანა დედოფალი სოფიო.

### ვითარება გურიის სამთავროში რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დაწყების შემდეგ

გურიის სამთავროში ვითარება განსაკუთრებით რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დაწყების შემდეგ დაიძაბა. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, 1827 წლის 8 დეკემბერს, ოსმალეთის სულთანმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც ცხადად ადასტურებდა, რომ ოსმალეთი სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) თავისი პოზიციების აღდგენას შეეცდებოდა. რუსეთის ხელისუფლებას აფიქრებდა ის, რომ ოსმალეთი დედოფალ სოფიოს ანტირუსული განწყ-ობილებით ისარგებლებდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემდეგ, 1828 წლის 8 მაისს, თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლაი სიპიაგინი** კავკასიის მთავარსარდალს, ივან პასკევიჩს, მოახსენებდა, რომ მას საეჭვოდ მიაჩნდა გურიის დედოფლის რუსეთისადმი ერთგულება, რადგან ეს უკანასკნელი უკმაყოფილო იყო გურიის სამთავროს სამმართველო საბჭოს შექმნით. ნიკოლაი სიპიაგინი წერდა, რომ დედოფალ სოფიოს და დავით მაჭუტაძეს ურთიერთობა ჰქონდათ ქვემო გურიისა და აჭარის ბეგებთან. თბილისის სამხედრო გუბერნატორი საგანგებოდ მიანიშნებდა იმ ფაქტზე, რომ 1827 წელს გურიის ჯარმა სამეგრელოსა და გურიას შორის სადავო პალიასტომის ტბის ნაპირები დაიკავა, ხოლო დავით გიორგის ძე გურიელმა კავშირი დაამყარა ფოთის ფაშასთან. სიპიაგინი პასკევიჩს სწერდა, რომ პალიასტომის ტბა სამეგრელოს მთავრისათვის უნდა დაებრუნებინათ და ამით გურიის თავადებისათვის ფოთის ფაშასთან ურთიერთობის გზა ჩაეკეტათ. გენერალი სიპიაგინი ასევე მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო რუსეთის ჯარის ჩოხატაურის საგუშაგოს გაძლიერებაც. პასკევიჩმა სიპიაგინის მოხსენება იმპერატორ ნიკოლაი I-ს გაუგზავნა. თავის მხრივ, 1828 წლის 1 აპრილს პასკევიჩი ნიკოლაი I-ს სწერდა: გურიის დედოფალ სოფიოს რუსეთის ღალატი აქვს განზრახული, მოსახლეობას თავის ერთგულებაზე აფიცებს, რაც აუცილებელს ხდის რუსეთის ჯარის გურიის სამთავროში შეყვანასო. 1828 წლის 27 ივლისს რუსეთის ჯარების მთავარი შტაბის უფროსმა **ივან დიბიჩმა** პასკევიჩს აცნობა იმპერატორის აზრი გურიის სამთავროსთან დაკავშირებით. წერილში აღნიშნულია: თუ დადასტურდებოდა გურიის დედოფლის კავშირი ოსმალეთთან, ან დედოფალი რუსეთისადმი მტრულ განწყობილებას გამოამჟღავნებდა, კავკასიის მთავარსარდალს უფლება ეძლეოდა გადაეყენებინა დედოფალი, ჩამოერთმია მისთვის სამთავროს მართვის უფლება, დაეპატიმრებინა დედოფლის მრჩევლები **დავით მაჭუტაძე** და **დავით გურიელი**, ხოლო სამთავროს მართვაგამგეობა ან უკვე არსებული საბჭოსათვის, ან დროებითი მმართველობისათვის ჩაებარებინა. ფაქტობრივად, ამ მითითებით ნიკოლაი I-მა გურიის სამთავროს ბედი გადაწყვიტა. რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დაწყებისთანავე დედოფალი **სოფიო** დავით მაჭუტაძისა და სხვა თავადების მეშვეობით ოსმალეთის სულთნის კარს დაუკავშირდა, რათა აუცილებლობის შემთხვევაში საჭირო დახმარება მიეღო. დედოფალი გურიის მოსახლეობის სახელით მოქმედებდა. მან თავადებსა და აზნაურებს ერთგულების ფიცი დაადებინა და მძევლებიც მოითხოვა. თავადებისა და აზნაურების ნაწილმა, რომლებიც ოსმალეთის დახმარებით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას არ აპირებდნენ, ფიცი არ დადო და არც მძევლები გაუგზავნა დედოფალს. თავადების ნაწილმა, მაგალითად ერისთავთა სახლმა, ერთგულების ფიცი დადო, მძევლებიც მისცა დედოფალს, მაგრამ მაინც რუსულ ორიენტაციაზე დარჩა. სოფიოს მომხრეთა რიცხვი იმდენად მცირე იყო, რომ დავით მაჭუტაძემ მთელ გურიაში მხოლოდ 500 მოლაშქრის თავმოყრა შეძლო. დედოფალი იძულებული გახდა პირადად მისულიყო თავადებისა და აზნაურების ოჯახებში, რათა ისინი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე დაეთანხმებინა. **დავით მაჭუტაძემ** ფარულად მოვლო ფოთი, ბათუმი, ტრაპიზონი და მიაღწია იმას, რომ სულთანმა გურიის დედოფალს საგანგებო ფირმანით მფარველობა და დახმარება აღუთქვა და საჩუქრებიც გამოუგზავნა. გურიის სამთავროს საზღვართან თავს იყრიდა ოსმალეთის ჯარი. გულხელდაკრეფილნი არც რუსეთის მომხრეები დარჩენილან, ისინი თვალყურს ადევნებდნენ დედოფალ სოფიოს, დავით მაჭუტაძისა და სხვათა მოქმედებას და მომხდარს დაუყონებლივ აუწყებდნენ რუსეთის ხელისუფლებას. იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში განლაგებულ რუსეთის ჯარს (სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის მარჯვენა ფრთას) იმერეთის მმართველი გენერალ-მაიორი **კარლ ჰესსე** სარდლობდა. 1828 წლის აპრილში ჰესსემ დედოფალ სოფიოს წინადადება მისცა ოსმალეთთან ურთიერთობა შეეწყვიტა და ერთგულების დასადასტურებლად რუსეთის ხელისუფლებისათვის მძევლად დავით მაჭუტაძე მიეცა. რუსებს ცნობა ჰქონდათ, რომ დედოფალი დავით მაჭუტაძეზე დაქორწინებას და გურიაში მთავრის ხელისუფლების აღდგენას აპირებდა. მალე რუსეთის სარდლობამ შეიტყო, რომ ოსმალეთის ჯარი (10.000 მებრძოლი) გურიის საზღვართან დაბანაკდა და სამთავროში შემოსაჭრელად ემზადებოდა. ზემო აჭარის ბეის, **აჰმედ ხიმშიაშვილს,** ოსმალეთის სარდლობის დავალებით გურიაში აჭარასა და ლაზეთში შეკრებილი ლაშქარი უნდა შეეყვანა და რუსეთის ჯარების მთავარი დასაყრდენი — **ჩოხატაურის** საგუშაგო — გაენადგურებინა. გურიაში ოსმალთა შემოჭრას ივან პასკევიჩი სამთავროს სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ვერ დაუშვებდა. გარდა ამისა, ოსმალების მიერ გურიის დაკავებას შეიძლებოდა ანტირუსული გამოსვლები მოჰყოლოდა იმერეთსა და სამეგრელოში. პასკევიჩს ისიც აფიქრებდა, რომ რუსეთის ჯარის დამარცხების შემთხვევაში რუსეთის მომხრე გურიის თავადებიცა და აზნაურებიც ოსმალეთის მხარეზე გადავიდოდნენ. ეს ოსმალეთთან მიმდინარე ომის პირობებში ძალზე საშიში იყო, რადგან, რუსების გაანგარიშებით, გურიაში 5.000 მოლაშქრის შეკრება იყო შესაძლებელი.

გურიის სამთავროს საზღვარზე ოსმალთა ჯარის გამოჩენისთანავე გენერალმა კარლ ჰესსემ აუცილებელი ზომები მიიღო: გაძლიერდა რუსეთის ჯარის საგუშაგოები **ჭალადიდსა** და **ნაბადაში**, რათა ფოთის მიდამოებში ოსმალებისათვის ფეხის მოკიდების საშუალება არ მიეცათ. გარდა ამისა, სოფელ ჭა-ლადიდიდან რიონის მარცხენა ნაპირით ფოთისაკენ მიმავალ გზაზე ადგილობრივი მოსახლეობისაგან რამდენიმე საგუშაგო შეიქმნა. რუსეთის მომხრეთა გასამხნევებლად გურიაში **ზურაბ წერეთელი** გაიგზავნა. 1828 წლის 9 მაისს პასკევიჩმა წერილი გაუგზავნა გურიის დედოფალ სოფიოს. კავკასიის მთავ-არსარდალმა დედოფალს რუსეთის ჯარის წარმატებების შესახებ აუწყა, მორჩილება ურჩია და თანაც გააფრ-თხი-ლა: თუ დედოფალი ოსმალეთს მიემხრობოდა, რუსეთის ჯარი გურიის სამთავროს ააოხრებდა. მუქარამ **სოფიო** ვერ შეაშინა. 1828 წლის 1 ივნისს დედოფალმა ტრაპიზონის ფაშას გამოგზავნილი ოსმალეთის დიდი მოხელე მიიღო, რომელმაც სოფიოს გურიის სამთავროს ოსმალეთის ქვეშევრდომობაში მიღების დამადასტურებელი სულთნის სიგელი და საჩუქრები გადასცა. სულთანმა საჩუქრები გამოუგზავნა გურიის თავადებსაც.

1828 წლის ივნისში ოსმალეთიდან ქობულეთში ჩავიდნენ 1820 წელს გურიიდან გაქცეული დავით ვახტანგის ძე გურიელი, ქაიხოსრო გურიელის ოჯახის წევრები და ხელისუფლების მიერ დევნილი სხვა თავადები. მათ ხმა გაავრცელეს, რომ რუსები გურიის ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილის რუსეთში გადასახლებას და სამთავროს გაუქმებას აპირებდნენ. გავრცელებულმა ხმებმა დედოფალ სოფიომდეც მიაღწია. რუსეთის მოწინააღმდეგენი განსაკუთრებით გაამხნევა ქობულეთში **ალექსანდრე ბატონიშვილის** გამოჩენამ. 1828 წლის ივლისში ზემო აჭარის მმართველმა აჰმედ ბეი ხიმშიაშვილმა წერილით მიმართა დედოფალ სოფიოს მოწინააღმდეგე ერისთავთა სათავადო სახლის წარმომადგენლებს და მათგან მოითხოვა, რომ სურების ხეობის მოსახლეობა დედოფალს უსიტყვოდ დამორჩილებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში აჰმედ ბეი ერისთავთა სამფლობელოების აოხრებით იმუქრებოდა.

გურიის სამთავროში ანტიოსმალური განწყობილება იმდენად ძლიერი იყო, რომ დედოფალმა **სოფიომ** მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიმხრობა ვერ მოახერხა. გურიის რამდენიმე ცნობილი თავადი, მათ შორის ერისთავები, აშკარად დადგნენ რუსეთის მხარეზე. რუსეთის მომხრე თა-ვადებმა ოჯახები იმერეთში გახიზნეს, ლაშქარი შეკრიბეს და ჩოხატაურში განლაგებულ რუსეთის ჯარის საგუშაგოს შეუერთდნენ. სოფიოს მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო თავად ნაკაშიძეების სახლიც, მაგრამ, რადგან ნაკაშიძეების მამულები ოსმალეთის საზღვართან მდებარეობდა, მათ აქტიური მოქმედებებისაგან თავი შეიკავეს. მოსა-ხლეობაში ანტიოსმალური განწყობილების გაძლიერებას გარკვეულწილად შეუწყო ხელი პასკევიჩის პროკლამაციამ (მოწოდებამ). პროკლამაციაში აღნიშნუ-ლი იყო: რუსეთი, რომლის ძლიერება მსოფლიომ იცის, ოსმალეთს ებრძვის. ამ დროს ოსმალო ფაშების მზაკვრობით მოტყუებული დედოფალი სოფიო ოსმალეთს მიემხრო და სულთნისაგან საჩუქრებიც მიიღო, რისთვისაც დედოფალი სასჯელს ვერ გადაურჩებაო. კავკასიის მთავარსარდალი გურიის მოსახლეობას მოუწოდებდა რუსეთის ერთგულნი დარჩენილიყვნენ და ორგულთა გაჟლეტასა და გურიის საზღვრების დაცვაში მონაწილეობა მიეღოთ. 1828 წლის ივლისის დამდეგს 4.000 ოსმალო და ისლამის აღმსარ-ებელი ქართველი აჭარასა და ლაზე-თიდან გურიაში შემოიჭრა და სამთავროს აოხრებას შეუდგა. გურიის ასაკლებად მოვიდა აჰმედ ბეი ხიმშიაშვილი 500 მოლაშქრით და ზარბაზნით. მართალია, ვითარება კრიტიკული იყო, მაგრამ ოსმ-ალთა ჯარის გურიაში შემოჭრას დედოფალ სოფიოს მომხრეთა რიცხვის მნი-შვნელოვანი ზრდა არ გამოუწვევია. მოვლენების განვითარებამ რუსეთ- ოსმა-ლეთის ფრონტზე დედოფალ სოფიოს გეგმები ჩაშალა. რუსეთმა წარმატებები მოიპოვა როგორც ბალკანეთში, ისე სამხრეთ კავკასიაში. 1828 წლის 15 ივლისს რუსებმა **ფოთის** ციხე-სიმაგრე აიღეს. როგორც კი ფოთის დაცემის ამბავი შეიტყო, გურიაში შემოჭრილი ოსმალთა ჯარი უკან გაბრუნდა. 24 ივლისს რუსებმა **ახალქალაქი** აიღეს. ბრძოლაში დაიღუპა აჰმედ ბეი ხიმშ-იაშვილის ვაჟი **ფაჰრად ბეი.** ივან პასკევიჩი ახალციხეზე იერიშისათვის ემზადებოდა. შექმნილ ვითარებაში აჰმედ ბეი აჭარაში დაბრუნდა და ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად გაემართა. დედოფალ სოფიოს მომხრეებმა **სვიმონ ერისთავის** სასახლე გადაწვეს და **ასკანის** ციხეში შევიდნენ, სადაც უკვე იმყოფებოდა დედოფალი.

(გაგრძელება იქნება)

**ვახტანგ გურული**

საქართველოს ახალი ისტორია
(1801-1918) გვ. 436-439

# გილოცავთ ახალ 2019 წელს შობას, კალანდას!



2019 წელი მშვიდობის, ბედნიერების, სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს ყოველი ოზურგეთელისათვის. გისურვებთ ბედნიერებას, სიკეთეს, წინსვლას შემოქმედებით და პირად ცხოვრებაში.

პატივისცემით,
**ამირან გირკელიძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი



გულითადად გილოცავთ 2019 წლის შემობრძანებას, რომელიც უსათუოდ შეგმატებთ სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას, მოგიტანთ ხვავსა და ბარაქას. ჩემო ოზურგეთელებო, ბახველებო გქონოდეთ ფუძე მაგარი და ჭერი მაღალი.

პატივისცემით,
**ეროდი გორდელაძე**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე



ჩემო ოზურგეთელებო, სილაურელებო გილოცავთ შობა-კალანდას! ღვთის წყალობა და მადლი არ მოგკლებოდეთ, სიყვარულით გვეცხოვროს ერთიან და ძლიერ საქართველოში

**გოჩა კილაძე,**
საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე



ჩემო ოზურგეთელებო, ასკანელებო სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ შობა-კალანდას. მრავალს დაესწარით. ფუძე-ჭერი დაგელოცოთ. სიყვარული და სიხარული, ხვავი და ბარაქა მოგმადლოთ უფალმა.

იმრავლეთ, ირარეთ ქვეყნისა და თქვენი მოდგმის სასახელოდ.

**ლევან ნინიძე**
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. ასკანა













ავტონაწილების მაღაზია გილოცავთ შობასა და კალანდას! გთავაზობთ ყველა სახის ავტომანქანის ზეთებს, ფილტრებს, ავტონაწილებს! დაგვიკავშირდით: 598 59 70 71; მის: გურიის ქ. №5

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 9 იანვარი ოთხშაბათი | 10 იანვარი ხუთშაბათი | 11 იანვარი პარასკევი | 12 იანვარი შაბათი | 13 იანვარი კვირა | 14 იანვარი ორშაბათი | 15 იანვარი სამშაბათი |
|---|---|---|---|---|---|---|
| თოვლი -3+4 | მზე, +1+7 | მზე, ღრუბელი +2+10 | ღრუბელი- +2+6 | წვიმა +2+7 | ღრუბელი +4+6 | წვიმა -1+4 |